

ჯარის ნაწილებს  
უფასოდ ვგზავ-  
ნებათ.

19 სექტ. 1920 წ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

9775

# მსედარი

ფასი 25 მან.


№ 16

ორგანო საგზ. საგინ. კულტ.-განათლ. საქსიისა.

№ 16

## ჩვენი სტუმრები


ინგლისელი დელეგატები



რამფი მაკდონალდი




ეთელ სნოუდენი



ტომას უოუ

## ფრანგი დელეგატები



ალბერტ ინგელსი



პიერ ჩანოდელი



აღრიენ მარკე

### სომას შოუ

48 წლისა. ათი წლისა ის შევიდა საქსოვ ქარხანაში. 11 წლის ის შეუერთდა მქსოველთა ტრედ-იუნიონს. 20 წლისა ის გახდა ამ ტრედ-იუნიონის კომიტეტის წევრი. 33 წლისა ის უკვე მქსოველთა ტრედ-იუნიონის მდივანი. დღეს ის არის მდივანი მქსოველთა ინტერნაციონალურ ტრედ იუნიონისა და ვიცე-პრეზიდენტი მთელ ინგლისის მქსოველთა ორგანიზაციისა.

ტომას შოუ არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად 1916 წელს. თავმჯდომარეობდა წელს ქენევის სოციალისტურ კონგრესს. დიდი ენერჯის ადამიანია. უდიდესი გავლენა აქვს ტრედ-იუნიონთა შორის. ის იყო ამის წინათ საბჭოთა რუსეთში, როგორც წევრი ინგლისის მუშათა დელეგაციისა.

### რამზაი მაკდონალდი

დაიბადა შოტლანდიაში 1866 წელს. 1902 წელში ის არჩეულ იქნა ქალაქ ლონდონის საბჭოში, სადაც დიდ ენერჯიულ მუშაობას ეწეოდა. 1900 წელს არჩეულ იქნა ინგლისის მუშათა პარტიის მდივანთა და 12 წლის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი პარტიის ყველა ორგანიზაციურ საქმეებში. სამი წლის განმავლობაში ის იყო თავმჯდომარე დამოუკიდებელ მუშათა პარტიის. სცემდა ჟურნალს „The socialist Review“. 1906 წელს არჩეულ იყო პარლამენტში სადაც თავმჯდომარეობდა მუშათა პარტიის ფრაქციას. ომის დროს ის ენერჯიულად იცავდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის პოზიციას, თხოვლობდა ომის შეწყვეტას და დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას. ასეთმა მისმა რადიკალურმა პოლიტიკამ მას დაუკარგა ადგილი პარლამენტში. 1918 წელს ის არ იქნა არჩეული პარლამენტში. მთელ დროს ახლა ის ანდომებს ლიტერატურულ და პროპაგანდისტურ მუშაობას. მას აქვს ბევრი ნაწერები. მაკდონალდი დიდი ცოდნის და ერუდიციის კაცია.

### ათალ სტუდანი

მეუღლე ქრისტოფერ გლისელ სოციალისტთა მდივანთა საბჭოედენისა. იგი დაიბადა 1881 წელს. აქვს ბევრი ნაწერები სოციალიზმზე და ფემინიზმზე. ათი წლის განმავლობაში ის დადიოდა ამერიკაში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, მთელ ინგლისში, ევროპაში და აწყობდა მიტინგებს და ლექციებს სადაც უმთავრესი საგანი ქალთა მოძრაობა იყო. ის წევრია ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტისა. წევრად იყო ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაციისა ბალშევიკურ რუსეთში. ამ უკანასკნელ დღეებში გამოვიდა მისი წიგნი: „ბალშევიკურ რუსეთში“.

### ალბერტ ინგელსი

49 წლისა, დაიბადა ქ. ლილში. მონაწილეობას ღებულობს ახალგაზრდობიდან ჩრდილოეთის რაიონის მუშათა მოძრაობაში და პარტიის წევრების შესაძენათ მუშაობს. საფრანგეთის ეს ნაწილი მუშათა პარტიის დიდ მნიშვნელოვანი ცენტრია...

პიოველათ დეპუტატთა აირჩიეს 1914 წელში, ხელ ახლათ არჩეულია 1918 წელში. შესწავლილი აქვს საფრანგეთის ომის დროს დანგრეული რაიონები, დაახლოებულია ბინის საკითხთან. ის არის სოც. ვაზეთ „eri du narq“-ს მოწინავე წერილების ავტორი.

ამხ. ინგელსი საქსოვ წარმოების მუშა, ის დიდხანს იყო ამ დარგის მუშათა სინდიკატის მდივნათ და შემდეგ დაინიშნა საქსოვ წარმოების ეროვნულ ფედერაციის მთავარ მდივნათ. ამ თანამდებობას ასრულებდა ის იმ დღემდის როცა ის პარლამენტში აირჩიეს დეპუტატთ.

### პიარ რანოდალი

48 წლისა. ნორმანდიელია (საფრანგეთის პროვინცია). განათლება მიღებული აქვს საბეითალო სკოლაში. 21 წელია რაც საფრან. სოც. პარტიის წევრია. იყო სოც.-რევოლიუციონერების პარტიაში ედუარდ ვაიანთან და მარსელ სამბასან ერთათ. შემდეგ კი გაერთიანებულ პარტიის წევრია. რამდენიმე წლის განმავლობაში პარტიის დეპუტატი ის პროპაგანდისტად იყო. შემდეგ გახდა „ლუმინიტეს“ მთავარი რედაქტორი, როცა ამ გაზეთს ჟორესი ხელმძღვანელობდა. 1915 წელს ჟორესის სიკვდილის შემდეგ დაინიშნა „ლუმინიტეს“ დირექტორათ (კონგრესის გადაწყვეტილებით). თავი დაანება გაზეთის ხელმძღვანელობას 1918 წელს.

დეპუტატთა იყო ვარის დეპარტამენტიდან 1914 წლიდან, 1920 წელში არჩეულებზე დამარცხდა, ახალი საარჩევნო კანონის გამო, რომელშიაც პროპორციალური სისტემა არ არის დაცული. ეხლა სცემს რამდენიმე ამხანაგებთან ერთათ კვირეულ გაზეთს „სოციალისტურ ცხოვრებას“ („La vie Socialiste“). ეს არის ორგანო იმვე სახელობის ჯგუფის, რომლის მიზანია ყველა იმ ელემენტების გაერთიანება დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ. პ. რანოდალი თანამშრომლობს აგრეთვე სხვადასხვა პროვინციულ გაზეთებში.

### ალრიან გარკე

35 წლისა დაიბადა ბორდოში, პარტიის წევრია 1905 წლიდან. 1912 წ. იყო ბორდოს ხმონათ. ის არის მთავარი მდივარი ჟირონდის სოც. ფედერაციის და გაზეთ „eri populaire“-ის ხელმძღვანელი.



# მკრთაის სოციალისტური რეპუბლიკის საპარტიო კენჭისყრა

## ბ ა თ ო მ შ ი.

**ბათომი.** 14 სექტ. ათის ნახევარზე ევროპის სოციალისტების წარმომადგენლები მოიპატიჟა ბათომის ქალაქის თვითმართველობამ, სადაც გაიმართა საგანგებო სადღესასწაულო სხდომა. ხმოსნებით სავსეა დარბაზი. დიდძალი ხალხი აწყდება თვითმართველობას. ორსართულიანი სახლი მოქარგულია ყვავილებით და დროშებით. საბჭოს სხდომაზე სტუმრები შეჰყავთ მთავრობის, ცენტრალურ კომიტეტის და ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებს. სტუმრებში შუა ადგილს იკავებენ **ვანდერველდე, მაკდონალდი შოუ და გაუსმანსი**, საზეიმო სხდომას ხსნის საბჭოს თავმჯდომარე **ონიჟანტე რამიშვილი**, რომელიც საბჭოს სახელით საღამოსუძღვნის სტუმრებს. პირველ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ცენტრალური კომიტეტის სახელით **ისიჯორე რამიშვილი**, რომელიც ამბობს: საქართველოს სოციალ-დემოკრატია და მთელი ქართველი ხალხი აღფრთოვანებული გეგებებით. ორი წელიწადია საშინელ პირობებში გვიხდება სახელმწიფოს მესაქეობა. ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ცოტა რამ მაინც გვაკეთეთ. მობოძანდით ძვირფასო სტუმრებო! ჩვენი ქვეყნის კარები თქვენთვის ღიაა. ჩაიხედეთ ყოველ კუნძულში ჩვენი ცხოვრებისა ჩვენ დასამალი არაფელი გვაქვს. გვითხარით გულახდილათ ყოველივე. თქვენს რჩევას მუდამ დიდ ანგარიშს გაუწევთ. ამის შემდეგ მთავრობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულად **კ. საბახტარიშვილმა**. მან სხვათა შორის სთქვა: ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ შემთხვევა გვეძლევა გაგაცნოთ საქართველოს დემოკრატიის აღმშენებლობით მუშაობა. რა თქმა უნდა, ამ მუშაობაში შეცდომებსაც ნახავთ, ვინაიდან დესპოტიურ სახელმწიფოს ნანგრევებზე ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენება და მისი სოციალისტურ პრინციპზე დაყვარება ადვილი საქმე არ არის. საქართველოს დემოკრატიას კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიის სულიერი ჯანმრთელობა და ევროპის დემოკრატიასთან თანამშრომლობა საშვალებას მოგვცემს ავიცილოთ ყოველგვარი განსაცდელი და დაუახლოვდეთ ჩვენს საერთო იდეალს.

უკანასკნელ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ქალაქის მოურავი **გიზო ანჯაფარაძე**. ის, სხვათა შორის, ამბობს: ორი წლის წინად სწორედ ამ დარბაზში ოსმალეთის გამარჯვებულ იმპერიალიზმის წარმომადგენელს ენვერ-ფაშას ხედებოდნენ. იმ ენვერ-ფაშას, რომელიც დღეს მესამე ინტერნაციონალის ბურჟი გამხდარა. მაშინ აქ გაისმოდა საქართველოს სრული განადგურების მუქარა. დღეს ამა-

ვე დარბაზში სიხარულით და ზემით ვეგებებით ნამდვილ ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, ევროპის მუშათა კლასის ბელადებს. მისი წინადადებით საბჭომ დაადგინა: 1) მარინეს პროსპექტს ეწოდოს ინტერნაციონალის პროსპექტი, 2) დაენიშნოს სტიპენდიები ქალ-ვაჟთა გიმნაზიებში ღარიბ მოსწავლეებს პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარდგენით, 3) არჩეულ იქნან ყველა სტუმრები ბათომის საპატიო მოქალაქეებათ. დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებება წინადადებას.

ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქალაქის თავის სიტყვის შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ინგლისის მუშათა კლასის ბელადი **რამიშვი მაკდონალდი**. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაკდონალდმა მქუხარე ხმით მეტად მგძნობიარე სიტყვით მადლობა გადაუხადა ქალაქს ასეთი შეხვედრისათვის. მან, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ ვიცნობთ ძველ საქართველოს სიმამაცეს. ვიცით, თუ რა ბრძოლა გადახდა ქართველ ხალხს ამ ორი წლის განმავლობაში. ჩვენ მოვედით აქ არა მარტო ზემისათვის, არამედ—ყოველდღიურ ცხოვრების და მუშაობის გასაცნობად და საქართველოს სინამდვილის შესასწავლად. ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც ვნახეთ თავისუფალი და დემოკრატიული, არის საქართველო. სამწუხაროდ ჩვენთან რომ მოხვიდეთ, ასე ვერ მიგიღებთ. ჩვენ კიდევ დიდი ბრძოლა გვჭირდება. ჩვენ არა ვართ წარმომადგენლები კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისა, არამედ—მუშათა კლასისა და მისი სახელით მხურვალე მადლობას და საღამს გიძღვნი. მაკდონალდის სიტყვა განუსაზღვრელ აღფრთოვანებას იწვევს და გაისმის მხურვალე ტაში. ქალაქის თვითმართველობიდან სტუმრები მიდიან საგანგებო მორთულ ავტომობილებით მუშათა სასახლეში, სადაც თავი მოეყარა ბათომის პროლეტარიატს, მათ თავზე დაფრიალებდა ტყე წითელ დროშებისა. სასახლე მშვენიერათ არის მორთული. სტუმრების დარბაზში შესვლას იტყვის ინტერნაციონალით ხვდება. ორკესტრთან ერთად ინტერნაციონალს იმღერიან: **ვანდერველდე, შოუ, რენოდელი, მაკდონალდი და ყველა სტუმრები და პროფ. კავშირთა წევრები**. სტუმრები გამოდიან საგანგებოთ მორთულ აივანზე და **აიოლოს** თავმჯდომარეობით იხსნება მიტინგი. თავმჯდომარე აცნობს სათითაოდ მიტინგს მაკდონალდს, შოუს, მ-ს სნოუდენს, ემილ ვარდელველდეს, გიუსმანს, დებრიუკეს, რენოდელს, მარკეს, ინგელსს.

მიტინგზე მოკლე სიტყვებს ამბობენ სოც. დემოკრ. ორგანიზაციის სახელით **გოგოლაძე პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი ნაკაიძე ს.-ფედერალისტების ქორქაშვილი**.

შემდეგ მეტად მგძნობიარე სიტყვას ამბობს **ვანდერველდე**. მან სხვათა შორის, სთქვა: მე მახსოვს 1917 წელი, როცა პირველად შევხვდი ქართველს. ეს იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარის




სომხების ომში გმირულათ მოკლული ჯარის-კაცი  
ლუკა აბულაძე

კაცთა საბჭოს თავჯდომარე კარლო ჩხეიძე. მაშინ ჩვენ გავიგეთ ერთმანეთი. მე, დანგრეული, განადგურებული ბელგიის შეილმა ვიცი საქართველოს სულისკვეთება. მე აქ ვხედავ წითელ დროშას, მარა ეს არ არის ის წითელი დროშა, რომელიც ჩრდილოეთით ფრიალებს. იქ ის დამყარებულია მონობაზე, აქ კი, თავისუფალ ნებისყოფაზე. მე აღფრთოვანებული ვარ, როდესაც ვხედავ წითელ დროშას ეროვნულზე გადაკლობილს. ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელსაც ეღირსება დღეს რომელიმე ერი, როდესაც მე დილით გვიდან გამოვედი და გადავხედე საქართველოს მთებს, ხოლო შემდეგ წინ შეგვეგება ზღვა ხალხი წითელი დროშებით, სავსე სიხარულით, მე მაშინ ვიგრძენი იმ ოცნების სიახლოვე, რომელსაც ემსახურება საერთაშორისო მუშათა კლასი. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს არ არის სპექტაკლი და ბუტაფორია, არამედ — არის ხალხის გულიდან აღმონახეთქი სიხარული და სიყვარული. „გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატია!“ ასე ლაპარაკობდა სიტყვა ამხანაგმა ვანდერველდემ. სიტყვის გადათარგმნის შემდეგ ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა საერთო ვაშას და ტაშის ძახილში. ხალხიდან ქუჩაში, ტრიბუნაზე აღის ვლასა მგელაძე, რომელიც მკექარე ხმით მიმართავს სტუმრებს და უსურვებს სრულ აღდგენას და გამარჯვებას ომის მიერ დამსხვრეულ ინტერნაციონალს. სრულ 12 საათზე ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს და სტუმრები მიემგზავრებიან მატარებელში დასასვენებლად. საღამოს დათვალიერებენ ჩაქვის მიდამოებს და 10 საათზე მატარებელი გამოვა თფილისისაკენ.

### ბათომიდან თფილისამდე

ბათომი 14 სექტ. ბათომიდან სტუმრები საგანგებო მატარებლით გაემგზავრენ ჩაქვის მიდამოების დასათვალიერებლად სრულ 3 საათზე. აზიზიეს მოედნიდან დაიძრა თუ არა მატარებელი ირგვლივ გაისმა „ვაშა“ და ტაშის კვრა. მორთულ-მოკაზმული ბათომი, რომელიც გაზაფხულის ახლად აყვავილებულ თაიგულს წარმოადგენდა, კიდევ ერთ საღამს უძღვნიდა სტუმრებს, კიდევ ერთ აღტაცებულ ვაშას უგზავნიდა. ფანჯრებიდან გადასცქერიან სტუმრები ბათომს და ფერად მთების ძლიერ შიაბექდილებასთან ერთად მათ თან მიყვება სიხარული, აღტაცება და აღფრთოვანება ბათომის ქუჩებში სადღესასწაულოთ გამოშლილ ხალხისა, რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩაქვში ვიყავით. ისედაც ნახ ბუნებას, შეზავებულს ზღვის საიდუმლო ფიქრთან კიდევ უფრო აძლიერებს საღამოს ნახევრად დანისლული ცა, რომელიც ეხვევა თავს ჩაქვის მრავალფეროვან მთის თხემებს. საღვურთან სტუმრები ეტლებით მიემგზავრებიან ჩაქვის ჩაის პლანტაციებისაკენ, სადაც ათვალიერებენ წარმოებას და ეცნობიან ადგილობრივ მუშათა მდგომარეობას. განსაკუთრებით დაინტერესებულია მაკდონალდი, რომელიც ჩაის წარმოებას კარგად იცნობს ცეილონიდან და ყოველ მანქანას გულდასმით ათვალიერებს. სტუმრები მოხიბლულია ბუნებით, მარა ბოტანიკური ბაღის დათვალიერება კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას, საიდანაც მთებთან ერთად მეორე მხრით მოსჩანს ზღვის დაუსრულებელი სივრცე. ჩაქვში მამულების მმართველობამ ჩაიხე მიიბატივა სტუმრები, სადაც მ-ს სნოვდენმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. მან სხვათა შორის სთქვა: „პირველათ ჩემს სიცოცხლეში მოვედი ისეთ ქვეყანაში, სადაც მთელი ხალხი გვხვდება სიხარულით და ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ევროპი-



ჯ.-კ. სპირიდონ შალვას-ძე გოჩელეიშვილი  
1918 წ. ბათომში მოკლული.  
(თავისი ნებით იყო წასული).

ლები და თქვენ აზრის მოსახლერე ქართველები ერთ გზაზე ვდგევართ. ამერიიდან ჩვენი კავშირი იქნება კიდევ უფრო ძლიერი და ბრძოლა სოციალიზმისათვის, რომელსაც თქვენ ევროპაზე უფრო ეტრფით, კიდევ უფრო შეთანხმებული. იგულვით მუდამ ჩვენში საქართველოს მუშათა კლასის ერთგული ამხანაგები და მისი იდეალების გულწრფელი დამცველებიო“.

სალამოს 6 საათზე ჩაქვიდან დაბრუნდა მატარებელი ბათომში და სტუმრები შეუდგენ ბათომის ზოგიერთ მიდამოების დათვალიერებას. ვახშამზე, რომელიც სტუმრებს გაუმართა ქალაქის თვითმართვლობამ, სიტყვები წარმოსთქვეს რენოდელმა, სნოუდერმა, ანჯაფარიძემ და ისიდორე რამიშვილმა.

სრულ ათ საათზე სტუმრები ბათომიდან გამოემგზავრენ საგანგებო მატარებლით თფილისისკენ. სადგურზე აუარებელი ხალხი აცილებს მათ. ისმის „ვაშა“ ტაშის კვრა და ხმები: „გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ბნელა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა ზღვის ქარმა დაჰბერა. ყველაფერი ნისლში გაეხვია. სასწრაფო მატარებელი მოქრის ბათომიდან. დაღლილ-დაქანცული სტუმრები დასასვენებლათ ემზადებიან, აი აგერ სხედან ფრანგი დელეგატი მარკე და ინგლისელი მაკდონალდი. მოელი დღის შთაბეჭდილებაზე ლაპარაკობენ.

— ეს ხალხი დიდს იმედებს იძლევა, - ამბობს მარკე.

— იმედებს კი არ იძლევა, ეს ხალხი თვით იმედია, — უპასუხებს მაკდონალდი.

ჩაქვში ცნობას ვლებულობთ, რომ ქობულეთში დიდძალი ხალხია თავმოყრილი უთუოდ ითხოვენ მატარებლის გაჩერებასო. ბათომიდან ვფიქრობდით გაუჩერებლათ თფილისისკენ წასვლას, მარა მთელი გურია ფეხზე დამდგარა, ყოველი სადგური იტყობინება „ხალხი იცდის, აქ უთუოდ უნდა გაჩერდეთო“. ამას ვატყობინებთ სტუმრებს, რომელიც თვითაც დაინტერესებული არიან ნახონ გურიის ხალხი, რომლის მოძრაობის შესახებ მათ ბევრი რამ სმენიათ.

ქობულეთში მატარებელი ნელა უახლოვდება სადგურს. მოისმის მუსიკის „ინტერნაციონალის“ ხმა და მას თან ყვება დაუსრულებელი ტაში. მატარებლიდან სიტყვას ამბობს რენოდელი. სტუმრებთან ამოდიან ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხუხუნაშვილი, რუსიძე და ბარამიძე. უბრალო, სოფლელი მუშები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ სტუმრებზე.

საერთო აღტაცებაში და მუსიკის „ინტერნაციონალის“ ხმებში შორდება მატარებელი ქობულეთს, მარა ნატანები დაჟინებით ითხოვს მატარებლის გაჩერებას. აქაც ხალხი მოგროვებულია. დროშებით ჩამოსულან ოზურგეთიდან. ნელა, საერთო ტაშის ცემაში და „ვაშას“ ხმებში ვშორდებით ნატანებს.

ლანჩქუთ-სამტრედიაში არაფერს მოგვივლით, იქაც გვინდა შევატყობინოთ არ ვაგუანდობთ, ვინაიდან თფილისში ვგვიანდებით. მარა ვინა ვატყობთ, რომელიც შორიდან ცეცხლის ალით იყო მოდებული. სოფლებიდან ჩამოსულა ხალხი და ჩირაღდებით ხელში ლამობენ მატარებლის გაჩერებას.

— გაუმარჯოს კაუკკის, გაუმარჯოს სოციალისტებს, გაიძახის ვილაც ვლები, მარა მატარებელი ნელა შორდება ჯუმათს, სტუმრები მხოლოდ ფანჯრებიდან ესაღმებთან ხალხს. შუა ღამე მოახლოვდა. კოკისპირული წვიმა და ქარი შავ სუდარით ფარავს არეს. სტუმრები ისვენებენ. ამის შემდეგ ჩვენც ვფიქრობთ არავინ დაგვხდება.

მაგრამ აი სამტრედია. ღამის პირველ საათზე კოკისპირულ წვიმის ქვეშ ზღვა ხალხით გაქედულია სადგური. სამხედრო ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს“ მიძინებული სტუმრები ზეზე დგებიან, ფანჯრებს ეხეთქებიან და თვალწინ გვეშლება წვიმის ქვეშ ქალი და ბავშვი, მუშა და გლები, ინტელიგენტი და უბრალო მოქალაქე. საერთო ტაშის გრიალი და აღტაცება აყრუებს სადგურს. აქაც ლაპარაკობს რენოდელი, მაგრამ მეტად მგრძობიარე, აღტაცებულ სიტყვით. სამი წუთი და მატარებელი შორდება სადგურს.

ამ სანახაობამ ძილი დაუკარგა ძვირფასს სტუმრებს. ზის ფანჯარასთან მაკდონალდი და თავის ქალარაზე ხელმიდებული გასცქერის ყომრალ ღამეში მიძინებულ არეს. ვინ იცის რას ფიქრობდა მაშინ დინჯი შოტლანდიელი, რომლის სახეს დიმილი იშვიათად გადაეკვრება და, მუდამ ჩაფიქრებული, საქმიან გამოშეტყველებით იცქირება, ხოლო როცა ლაპარაკობს, ფოლადის ზარივით აპობს არეს.

ჯერ კიდევ არ არის გათენებული, რომ მატარებელი ქართლის ატეხილ ქალების სივრცეზე მოქროდა, ხოლო ქართლის გლებები ამ დროს თავის სადგურზე შესახვედრათ ემზადებოდენ.

გრაკალში, ქსანში, ქარელში ყველგან ხალხია დროშებით და აღტაცებით აცილებენ მატარებელს, ხოლო გორში დიდძალი ხალხია დროშებით, სადაც მ. კლიმიშვილი ხალხის სახელით მიესალმა სტუმრებს და ხონჩით მშვენივრათ მორთული ხილი მიუძღვნა. „დანგრეულმა გორმა საღამი გიძღვნათ და თავისი ოფლით მონაგარი მოგართვათ“.

სწრაფათ მოქრის მატარებელი თფილისისკენ. სტუმრები ერთ ვაგონში იყრიან თავს და შეხვედრის მოლოდინში საუბრობენ. უცქერი მათ, უსმენ ლაპარაკს და ელოდები, როცა პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს ევროპის მუშათა კლასის ხელმძღვანელებს. ბათომის და გზის შთაბეჭდილება ზრდის მოსალოდნელ შეხვედრის შთაბეჭდილებას, რასაც თვით გრძობენ სტუმრები. ვანდერველდე,



მაკდონალდი დი ჰიუსმანსი ვაგონის კარებთან უც-  
დიან მატარებლის გაჩერებას.

აი თფილისიც. სადგურზე წელა ჩერდება მა-  
ტარებელი. საგანგებოთ მორთული სადგური იპა-  
ტიყებს ძვირფასს სტუმრებს.

ლ. რ.

**ბუნდის თხოვნა.** ცენტრ. კომისიამ ბუნდის  
ცენტრ. კომიტეტისაგან და სომხეთის სახალხო  
პარტიისაგან მიიღო განცხადება, სადაც აღნი-  
შნული პარტიები სურვილს გამოსთქვამენ დე-  
ლეგაციის შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

**სიღნაღი.** სიღნაღის ერობამ ცენტრ კომი-  
ტეტს თხოვნით მიჰმართა: მიიღოს ზომა, რომ ევ-  
როპის დელეგაცია სიღნაღში მივიდეს.

**დელეგაციის ბინა.** დელეგაცია მოთავსებულ-  
ა იქნება პეტრე დიდის ქუჩაზე მელიქოვის  
სახლში.

**კინემატოგრაფიული სურათების გადაღება.**  
ცენტრ. კომ. კავშირმა კინემატოგრ. სურათების  
გადაღების მოწყობა თავისთავზე მიიღო. ბათომში  
გაიგზავნა სპეც. კომისია, რომელმაც დელეგაციის  
ჩამოსვლის სურათი უნდა გადაიღოს.

**დელეგაციისათვის სპეც. მატარებელი.** ევ-  
როპის სოც. დელეგაციისათვის სპეციალური მატა-  
რებელი ბათომში უკვე გაიგზავნა. ამ მატარებლით  
დელეგაციის შესახვედრათ წავიდენ დამუ. კრების  
წევრები ი. რამიშვილი და ვ. ფალავა.

**დელეგაციის შეხვედრა ბათომში.** შესდგა  
ევროპის დელეგ. შესახვედრი კომისიის სხდომა.  
დაესწრნენ: ქალ. თავი ანჯაფარიძე, პრ. კავშირთა  
სეკრეტარიატის თავმჯდომარე აიოლო, თავმჯდო-  
მარის ამხანაგი ნაკაშიძე, თვითმართველობის თავმ-  
ჯდომარე რაშიშვილი და სხ. დაადგინეს: მოაწყონ  
მუშათა. სასახლე ყვავილებითა და შენობის წინ  
გააკეთონ თალი. მთელი ქალაქი დროშებითა და  
ყვავილებით იქნება მორთული. ქალ. თვითმართველ.  
თალი აღმართული იქნება მარინეს პროსპექტ. და  
დუნდუკო კორსაკოვის ქუჩ. დელეგაციის შეხვედ-  
რის დღეს მუშაობა ქალაქში შეჩერებული იქნება.  
დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს  
პროფ. კავშირთა წევრები, სახალხო გვარდია მთე-  
ლის შემადგენლობით და იარაღით მიიღებს მონა-  
წილეობას შეხვედრაში. გაიცა განკარგულება გირ-  
ლიანდების დასამზადებლად.

# მთავროვის თავმჯდომარე- საგან.

ცირკულიარული.

მინისტრებს, მათ ამხანაგებს, ერობათა და  
ქალაქთა გამგეობებს და მათი კავშირების კომი-  
ტეტებს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბებს.

მრავალმა საჩივრებმა და პირადმა დაკვირვებამ  
დაარწმუნა, რომ სახელმწიფო მსახურის მომ-  
სახურებელი დაწესებულებებში სახელმწიფო მომ-  
სახურეობს სასურველ სისწრაფით და წესებით.

საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად და ხარ-  
ჯების შესამცირებლად ვბრძანებ:

1) სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებუ-  
ლებებში, ერობებისა და ქალაქების თვითმართვე-  
ლობებში მინიმუმამდე შემცირდეს მოსამსახურეთა  
შტატები.

**შენიშვნა:** დღიდან ამ ცირკულიარის გამო-  
ქვეყნებისა ქალაქთა და ერობათა თვითმართველო-  
ბათ შტატების შესამცირებლად ეძლევათ ერთი  
თვის ვადა, რის შემდეგ, თუ ჩემი ბრძანება ამ  
ხნის განმავლობაში სისრულეში არ იქნა მოყვანი-  
ლი, შტატების შემცირებას მოახდენს ამ საქმის-  
თვის ჩემ მიერ დანიშნული განსაკუთრებული კო-  
მისია.

2) უწყებათა უფროსებმა მიიღონ ზომები,  
რათა მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა მო-  
სამსახურენი თავის დროზე ცხადდებოდნენ სამსა-  
ხურში.

3) ნიღებულ იქნას ზომები მინისტრების, მს-  
თი ამხანაგების და უწყებათა სხვა უფროსების  
მთხოვნელთა მიერ ნახვის გასაადვილებლად.

4) ყოველგვარი შუამდგომლობა სახელმწიფო  
და საზოგადო დაწესებულებებისა ან კერძო პირი-  
სათვის დროზე იქნას განხილული და პასუხი დაუ-  
გვიანებლივ მიცემული.

5) ჩემს მომართვებზე ან ბრძანებებზე პასუხი  
მომეცეს დაუყოვნებლივ.

6) სასტიკად აიკრძალოს ერთი თანამდებობი-  
დან რაიმე დანაშაულობისათვის დათხოვნილ პირის  
მეორე თანამდებობაზე მიღება.

7) ქალაქებისა და ერობების თვითმართველო-  
ბათა მიერ არ იქნას დაწყებული არავითარი ახალი  
საწარმოვეო საქმე ჩემს ნება დაურთველად.

13 სექტემბერი, 1920 წ., № 20.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე.

## ბრძანებები

I.

რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების  
მიმართ.

ვაცხადებ ცნობად და ვიზდამიც ჯერ არს გან-  
კარგულებისათვის, რომ თანახმად მთავრობის დად-  
გენილებისა, ამა წლის 26 აგვისტოდან, ის ჯარის  
კაცნი, რომელთაც საგანგებო სამხედრო სასამართ-  
ლოების მიერ მისჯილი ჰქონდათ სხვა და სხვა ვა-  
დით კატორგა და რომელნიც თანახმად თავდაცვის



საბჭოს დადგენილებისა გაიგზავნენ ფრონტზე, განთავისუფლებულ იქნან სასჯელისაგან პირობით. ე. ი. აღნიშნულ ჯარისკაცებმა ჩაიდინეს სასჯელი-საგან განთავისუფლების შემდეგ მსგავსი დანაშაულობა ან ბოროტმოქმედება, ისინი დასჯილნი იქნებიან იმ სასჯელით, რომელიც მათ მიუსაჯა საგანგებო სამხედრო სასამართლომ.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

II.

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლისა.

თანხმად მთავრობის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია სამხედრო უწყების მიმართ, ამა წლის 8 სექტ. ბრძანებაში, მე გამომეცხადა მადლობა ჩემ მოქმედებისათვის რესპუბ. შეიარ. ძალთა მთავარსარდლათ ყიფნის დროს და მასთან ერთად დაბრუნებული ვიქვენი ძველ თანამდებობაზე — სამხედრო სკოლის უფროსათ.

საქართველოს მეომარნო! უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში მე ვიდექი თქვენს სათავეში და გიწვედით შეძლებისდაგვარათ, ხელმძღვანელობას მთელი ჩემი ძალით, წინააღ, როგორც მშვიდობიანობისას, ისე სამხედრო მოქმედებათა დროსაც, მე არა ერთხელ შემხვედრია წილად თქვენს სათავეში ყოფნა. ჩემთვის ძვირფას მშობლიურ მხედრობაში, ჩემ ძვირფასს სამშობლოს მეომართა შორის გატარებულს დროს მე ვსთვლი ჩემის ცხოვრებისა და სამსახურის უბედნიერეს ხანათ. ჩემი უფროსობის ყოფნისას თქვენ არა ერთხელ დაამტკიცეთ თქვენი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი.

საქართველოს ვმირებო! თქვენ კეთილსინდისიერათ მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. თქვენ ღვრით საკუთარ სისხლს, ხშირად განიცთიდით სიმშვილ-სიცივეს, მაგრამ მტკიცედ გახსოვდათ თქვენი მოვალეობა და მიუხედავად გაქირვება-სიძინე-ლისა, თქვენ — ჯარმა და გვარდიამ თქვენი გამირული გულმკერდით შეინარჩუნეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რაც მისცა ჩვენ ჩვეყანას რევოლიუციამ, თქვენ იცლებოდით სისხლისაგან საომარ ველზე თქვენზე უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს, თქვენ გადალახეთ უმაღლესი და ძნელათგასავალი მთები, გადაიარეთ მდინარეები, თქვენ როგორც არწიენი, თავს დატრიალებდით ჩვენს სამშობლოს სადარაჯოებს. მიმოფრინავდით ერთი საზღვრიდან მეორე საზღვარზე და მებრძოლად ეკვეთებოდით მტერს.

ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარ და მხარ ერთმანეთთან ღვრდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო მტკიცეთ დაუკავშირდით ერთმანეთს.

წითელ ხილთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გამირულათ იბრძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძლევამოსილათ მოდიოდა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შეი-ლებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის და უკუ აგდეს შორს ჩვენი საზღვრებიდან, გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა

მტერთან. რათა იმის სურვილით ვაძრწობდით, მივი ჯარისათვის საშუალება მიეცა, რომელიც ვედრათ მომზადებულიყო და გვარდიამ ჩვენი სახე-ლოვან წინაპრებისათვის შეასრულა თავისი მოვალეო-ბა გამირულად და სახელოვანათ.

მე უნდა დავადასტურო, რომ თქვენ, საქართ-ველოს მეომარნი, იბრძოდით თქვენი მოვალეო-ბის სრული შეგნებით. თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემულ დავალების შესასრულებლათ ძალდატა-ნება, თქვენთვის მხოლოდ მიზნისა დასახელება იყო საკმარისი და თქვენ ყოველთვის სრული შეგნებით და მხურვალე გულით ეკვეთებოდით მტერს: უფ-როსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროთ უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცეთ ესმის თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უაღრესი ბედ-ნიერება. ჩვენი ძვირფას და სასიქადულო სამშობ-ლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გამირო-ბა და მამაცობა, ის ყოველთვის მადლობით მოი-გონებს თავის სახელოვან შეილებს.

ესტოვებ რა მთავარსარდლის მოვალეობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღვ-ნიშნო თქვენი გამირული სამსახური სამშობლოსად-მი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსე-ულნი შეილნი ჩვენი ღირსეული წინაპრებისა.

აღსდგენ საქართველოს გამირები! დიდება სამ-შობლოს, დიდება თქვენ! გაუმარჯოს საქართვე-ლოს და მის სახელოვან მხედრობას!


გენერალი კვინიტაძე.

კვირიდან-კვირამდე.

ლენინის სიტყვა. „ვოლნი გორეცის“ უკანასკნელ ნომერში (53) მოყვანილია ცნობა, რომ ლენინს 1917 წლის 2 ქრისტეშობისთვის დისპუტში უთქვამს, რომ „ჩვენ არამც თუ მარტო ომს მოუღდეთ ბოლო, არამედ რუსეთის მილიტარიზმიც გავანადგურეთო. ჩვენ რუსეთის ხალხს მივცემთ საშუალებას, რომ ბედნიერად იცხოვროს და არას დროს არ დასჭირდეს მუდმივი არმიოა“.

ქართველები პეტროგრადში. პეტროგრადი-დან ჩამოსული პირი იუწყება: იმ პირების ვარდა, რომლებიც ვარეშე საქმეთა სამინისტროს სიაში იყო გამოცხადებული, პეტროგრადში კიდევ შექ-დეგა პირები სცხოვრობენ: ზ. ჯიჯია, ვ. გიორგა-ძე, დ. ჯგუშია, ა. დადიანი, ი. ცქირია, კაჭარავა, კაკაბაძე, ს. ყიფიანი, მაჭავარიანი, აბულაძე, მა-ვევი, ლოლობერიძე, მეტრეველი, და დგებუაძე. აღნიშნული პირები ჯანმრთელად არიან და საქარ-თველოში წამოსვლას ეპირებიან.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გა-ლერეია. ბ-ნ განათლების მინისტრის თანხმობით და მოწონებით საქართველოს ეროვნული სამხატ-ვრო გალერეია მხატვრულ-მეცნიერულ მიზნით აწ-



ყოფს მთელი მხატვრობის სურათების გამოფენას. ამიტომ გალერეის ადმინისტრაცია სთხოვს უმოჩილესად ყველას, (როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში), ვისაც კი რაიმე სურათი აქვს ძველი ქართული, სპარსული ან ევროპიული მხატვრობისა, აგრეთვე მინიატიურები და გრაფიურები, კეთილ ინებონ და წარმოადგინონ გამოფენისათვის ეროვნულ სამხატვრო გალერეის შენობაში, რუსთაველის პრ. № 13 ტელეფ. 4-96. სურათები მიიღება 15-25 სექტემბრამდის დილის 10-2 საათ. და საღამოს 5-6 საათამდის. გალერეია. გარანტიას იძლევა სურათების დაცვის და ხელშეუხებლობისათვის. თუ რომელიმე სურათი ამორჩეული, მოწონებული და შეფასებული იქნება სპეციალურ მხატვრულ კომისიის მიერ ეროვნულ გალერეისათვის, შეძენილ იქნება გალერეის მიერ მხოლოდ პატრონთან შეთანხმებით.

### გაღვიძებული სული.


(მე-7 რაზმის ჯ.-კაცთა ცხოვრებიდან).

მტკიცება არ უნდა იმ დებულებას, რომ ერის ძლიერება წარმოუდგენელია გარეშე შეგნებისა მოქალაქეთა თავისი „მე“-სი. ნათლად გათვა-

ლისწინება იმისი, თუ რაწი ვართ ჩვენი უნდა ვიყვეთ, — ფუძეა ჩვენი არსებობისა და საწინდარი ჩვენი ძლიერებისა და კეთილი მომავლისა.

ამ მხრივ თუ შევხედავთ ჩვენს მდგომარეობას, დამაკმაყოფილებელ სურათს ვიხილავთ. ის ბინდი გონებისა, რომელიც გადაკრული ჰქონდა ქართველს ძველს წყობილებაში, გადაიფანტა, გაჰქრა და მის ნაცვლად ვხედავთ მოქალაქეს გაღვიძებულს, გაცნაობილს, ბინდ მოშორებულს, რომელსაც ფრად აინტერესებს თავისი თავი, როგორც სამშობლოს ერგულს, როგორც მოქალაქეს, რომელზედაც არის დამყარებული მშობელი ერის ბედი თუ უბედობა. — შორს არ წავალ და ამ აზრის დასამტკიცებლად ავიღებ მე-7 რაზმის ჯარის-კაცთა ცხოვრებას.


ამ რაზმში არსებობს კულტურულ-განმანათლებელი სექცია, რომელსაც სათავეში უდგას ინსტრუქტორ-მასწავლებელი ბ. ი. მინდელი. ამ უკანასკნელის მეცადინეობით დაარსებულია სამკითხველო, რომლიდანაც ნელი-ნელ სარგებლობენ ჯ.-კაცები წიგნებით; გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები და სხვა. გუნდებში სწარმოებს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარ ჯარის კაცებთან შესემენილ ჯ.-კაცთა ან ოფიცერთა მიერ. ამ უცოდინართა ჯგუფიდან გამოყოფილია წერა-კითხვის მკოდნენი, ზოგი ცოტა თუ ბევრად დამზადებულნი, რომელთაც სწავლის წყურვილი, შედარებით,



მძიმე ზარბაზანი ბათუმის სიმავრისა, (სმეკალოვკაში), რომელიც ინგლისელებმა ააფეთქეს 20 ივნისს 1920 წ. (მომსხვრეული აქვს ლულა)

ნახატი კ. ქავთარაძისა.





პოეტი სანდრო ზანშიაშვილი

ავტორი „ბერლო ზმანია“-სი რომელიც ამ სე-  
ზონში იღვამება.

გაღვიძებული აქვს. ამ გვარ ჯარის კაცებისათვის  
რაზმის თეატრის დაბაზში სისტემატიურად იმარ-  
თება ლექცია-საუბრები. ყოველ-დღე საქართველოს  
ისტორიიდან, გეოგრაფიიდან და ლიტერატურიდან...

აი მოკლედ სურათი მე-7 რაზმის ჯ. კაცთა  
კულტურული ცხოვრებისა. აღნუსხვა ყველაფრისა  
ძნელია და, ნამეტნავე — გადაცემა იმ მდგომარეო-  
ბისა, სიცოცხლე-ხალისისა, რომელსაც იჩენენ ჯ.  
კაცები რომელიმე საუბრის დროს, ცოცხალი გა-  
მომეტყველებს, გაორკეცებული ყურადღება და  
დაქერა ლექტორის ყოველი სიტყვისა, ის სიცხო-  
ვლე და გაორკეცებული წყურვილი სწავლის შე-  
ძენისა, რომელიც გამოკრთის ყოველი ჯ. კაცის  
მიხვრა-მოხვრასა თუ სახეზე, — სანუგეშო სურათს  
იძლევიან, და თუ დღევანდელ წყობილებას რაიმე  
ნაკლს ამჩნევს ადამიანი, — ყოველივე ეს უშიშარ-  
სო, და ამასთანავე უშიშარი ხდება ჯ. კ. ამისთანა  
სიცოცხლის დანახვაზე. ჭეშმარიტად, აღმსდგარია  
ქართველური სული, სული მებრძოლი, არა მარტო  
მშობლიური კერის მტრის შესამუსრავად, არამედ  
მშობელი, რის კულტურის შესაძენადაც. დიდი  
იმედია, რომ ჩვენს ქვეყანასაც ეყოლება მცველი  
მოქალაქე - შეგნებული, გაღვიძებული, რომელსაც  
მტკიცედ ექნება შეგრძობილი სამშობლოს თავი-  
სუფლების სიყვარული და მისი დაცვის აუცილებ-  
ლობა. და რომ ეს ასეა და ასევე ექნება ამის  
მთქმელი გაღვიძებული სული გათვითცნობიერების  
გზაზე შემდგარ ჯ. კაც მოქალაქისა.

ჯ. კ. პ. გერმანიშვილი.


**მ ხ ე ლ რ ე ბ ო !**

თქვენი მხარ-ბეჭის კირიმეთ,  
თქვენი უღვაშის გრეხისა, —  
ერის იმედი რომა ხართ  
და დიდებაი გლახისა!

მტრის რისხვის მიმყენებელი  
და თავ-დამცემი მებისა, —  
უფალმა. ღმერთმან გაკურთხოთ  
ნაზარდნი ქართლის დედისა!

სევ. კიკინაძე.

ეროვნული  
ახალგაზრდებს: იოთქა



მოახლოვდა შემოდგომა  
მინდორ — ველს ეცვალა ფერი,  
საზამთროთ და საზაფხულოთ  
მოიმზადეთ ყველაფერი.

მოახლოვდა გაწვევის დრო  
მოემზადეთ თქვენც იმისთვის,  
ვისაც გმართებს სამსახური  
თქვენს სამშობლო და ერისთვის.

ახალგაზრდავ! ვისაც ამ წელს  
გიწვევს მოსვლა სამსახურში,  
მოემზადეთ საზეიმოდ  
ნუ გექნებათ დარდი გულში.

ჩვენ, ძველებიც აქ დაგხვდებით,  
და გამოგზრდით ჩვენებურად,  
ვივარჯიშებთ, გავარჯიშებთ,  
თქვენც გამღერებთ ჩვენთან ძმურად.

მაშ, ემზადეთ, იმ დღისათვის,  
საზეიმოდ, საღებნადა,  
სიხარულით, მოდით ჩვენთანც  
როცა დადგეს დრო და ვადა.

საწყალი მუშა.



ალექსანდრე ახმეტელი

რეჟისორი ქართული დრამისა, რომელიც დას-  
დგამს „ბერლო ზმანიას“. ამ პიესისათვის საგანგე-  
ბო ტანისამოსი და ახალი დეკორაციები მზადდება  
მისი ხელმძღვანელობით.

# ჩვენი გუნდის დღიურები.

ერთს ოჯახს წარმოადგენს ჩვენი გუნდი, ბევრი შვილები ჰყავს ამ ჩვენ გუნდს, თუმცა ყველა სხვა და სხვა გვარისა არიან მაგრამ, მაინც ძმები ვართ. ჩვენი გუნდი სწორედ ოჯახია, ჩვენ კი ყველანი მისი წევრები ვართ. ჩვენ, როგორც ოჯახში, სხვა და სხვა აზრისა ვართ ზოგნი უფრო ეშმაკია, ზოგი უფრო თავდაბალი, ზოგნი ურჩი და სხვა. ჩვენს გუნდში ერთი მამა გვყავს, ჩვენ ყველანი მას ვემორჩილებით, კიდევაც გვეშინია თუ ცუდ გუნებაზე დავინახეთ. იმას ჩვენ უყვარვართ და ზრუნავს ჩვენთვის, ის ყველას კარგად გვიცნობს. ვინც ურჩი ეშმაკია მას ხანდისხან უჯავრდება, გალახვით კი მაინც არ გალახავს. ასეთია ჩვენი ოჯახი. მამა თუმცა ხანდისხან გაგვიჯავრდება მაგრამ; სხვა გუნდების მამებზე უფრო ღმობიერია. ჩვენ ყველას განურჩევლად ყოფაქცევისა გვიყვარს ის, აი აგერ მოდის. მორიგე! მორიგე! მოემზადე პატაკის სათქმელად. პატაკით ჩვენ მას ვაგებინებთ თუ როგორ ვცხოვრობთ და ხომ არაფერი გასაქირი შეგვხვედრიო. ის, წოდის, ღებულობს პატაკს, გამარჯვებას და, გვიამბობს თუ გუშინ რა მომხდარა ქლაქში, გუშინ ასე გადაუწყვეტია დამფუძნებელ კრებას. მთავრობას ესა და ეს განზრახვა აქვს და სხვებს. ჩვენ ყურს უგდებთ მას.

— ბატონო კაპიტანო, აი ეს ჩემი სამსახურის საქმე როგორ არის? ეკითხება ნიკო.

— რა გითხრა, მალე გაგიშვებენ თქვენ!

— მაგას კი, მაგრამ ჩემი საქმე როგორ იქნება — ეხლა იოსები ეკითხება.

— შენც მალე შეგვხვდება მგონია — უპასუხებს.

— მეტი არაფერი მინდა ერთი კვირით გამოშვათ და იმდენ ღვინოს მოვიტან რომ ყველას ვაქეფებ — დაუმატებს მესამე ამროსი.

— რომ შეიძლება იქნეს ბატონო სამცხეთობოთ ვერ გამოიშვებთ ერთი კვირით? — ეუბნება მათ მცხეთელი მიშა.

— ყველა მოესწორებით ყველაფერს, ნუ გეშინიათ. ყველაც წახვალთ და ყველაც ისიამოვნებთ, — უპასუხებს ყველას ჩვენი მამა და დაჯდება ჩვენთან, ეხლა მოდის ხუმარა ჩვენი ძმა. ის რაღაცას იტყვის და ყველას სიცილით დაგვხოცავს.

მამაჩვენი საათს დახედავს.

— აბა ეხლა დადექით! —

უცებ ვდგებით ხმას ვიწყვეტთ, ტანში ვწორდებით თავს მალლა ვიჭერთ, ეხლა კი გვეშინია მამაჩვენის, თუმცა არას დროს არ უცემია ჩვენთვის მაგრამ ჩვენი სინდისით ვიცით რომ ეხლა ლაპარაკი და სხვა გვარად მოქცევა არ შეიძლება. ის გიბრძანებს, გვისწორებს შეცდომებს მიგვაბრუნ-მოგვაბრუნებს, გავკაცევს — გამოგვაქცევს გვიყვირებს კიდევაც, მაგრამ ჩვენ მას უსიტყვოდ ვემორჩილებით.

ეხლა ვისვენებთ. ისევ წყნარი და მშვიდნი ვართ. დარიგება, ლაპარაკი, ხუმრობა, თქმულება შეჩვეული ვართ აგრეთვე. ჩვენი გუნდება ძლიერ გვიხარია. გვხარია კიდევაც როცა მამა ჩვენი ჩვენ გვერდში ზის და რამეებზე გველაპარაკება.

— ძვირფასი მამა გყავს თქვენ — გვამბობს ერთი სხვა გუნდის შვილი, — ჩვენი მამა ძლიერ ავია, — ამბობს მეორე. — თქვენი მამა კაპიტანი ადა, მია\*) ღვთის კაცია — ამბობს მესამე მართლს ამბობს მართლაც ხეთის კაცია, მასაც ჰყავს ძმები, რომლებიც ჩვენ ბიძებათ გვეკუთნის, ისინიც კარგი ხასიათის არიან, მხოლოდ ხშირად ქალებთან უყვართ სიარული.

ჩვენთან ისინიც ძლიერ დაახლოვებულნი არიან ხანდისხან ჩვენს გლახა საქციელს მამას არ ეტყვიან და ისე გვეფარავენ. ხანდისხან წარმოადგენს გვაშართვიებს, თვითონაც ჩვენთან გამოდის სათამაშოდ, რომლითაც ჩვენ ძლიერ ვახარებს. მათ გარდა ჩვენ გვყავს გუნდში მამისაგან დანიშნული უფროსი, მას ზემდეგს უძახით ის მუდამ ჩვენთანაა ყველაფერი ჩვენი ავ კარგი იცის, ამიტომ ის ყველაზედ მეტს გვიჯავრდება ხანდისხან მათრახსაც მოგვიქნევს, მაგრამ ჩვენ მას უფრო ადვილად დავამშვიდებთ. ასეა ჩვენი ოჯახის მდგომარეობა. ბევრი ჩვენი მეზობლების შვილები ნატრობენ ასეთ ოჯახს. და ბევრს კი ნამდვილი ჩვენი ოჯახისთანა ოჯახი აქვს. საღამოზე ვავმართავთ ცეკვა თამაშს, სიმღერას და ვერ ვტყობილობთ როგორ მიქრიან დღეები, და ღამეები. ხანდისხან ვავიგონებთ, „აბა და ამ ალაგას მტერი ესმება სამშობლოსო“ — „აბა“ აზნებუტის, ძაფი დაკარგვით ტყვია-მფრქვეველის ლულას,“ გაიძახიან პირველი ნომრები, მეორები ვაზნებისა და წყლის ყუთებს უწყებს შინჯვას, მესამე ჯოხებს ათვლიერებს ისე მებუთე და ყველა საქმეს უდგება... მაგრამ ისევ გვეუბნებიან „მტერი შემინდა —, როცა ჩვენი გმირობა დაინახაო“.

აბა რა ჰგონიათ მათ ჩვენ ქართველები ვართ ქართველებო, — ვიძახით ამაყად ჩვენ.

ეხლა მოახლოვდა შემოდგომა კიდევ ორი თვე და მოიყვანენ ჩვენს ოჯახში ახალგაზრდა ძმებს ჩვენ მათ ვასწავლით, დავრჩებით რამოდენიმე თვე მათთან, და მერმე ჩვენ დაგვითხოვენ, გავათავებთ სამსახურს, მერმე ჩვენ წავალთ, ისინი დარჩებიან. ჩვენი მამა მათი მამა იქნება, ერთი მეორეს დაცილება კი გაგვიწელდება-კი მაგრამ, რა ვქნათ, თუ საჭირო იქნება ისევ მოვალთ და ისევ ძველებურად ვიმსახურებთ.

ჯ. — კაცი საწყალი მუშა.

\*) კაპიტანი ადამია არის მე-9 ასპინძის ათასეულის ტყვიამფრ. გუნდის უფროსი.



ქართველი  
ბიზლირთქა

# მთა წმინდის მთიდან...

მთა წმინდის მთიდან გადმოვყურებ ბობოქარ თბილისს,  
წითელ მანტიად იხატებ• ერის მშვენება,  
ხან აღმატრენის, ხან ნალღელის აღმური მივლის,  
აქაც ვერ ვპოვებ მე სიმშვილდე და მოსვენება.

\* \* \*

თვალწინ იშლებ• წარსულისა ერის ცხოვრება,  
ძველ ნანგრევთ შორის ახლაც სრბოლავს ქართველი სული,  
მწვანე წყლულები ყუჩღებთან თანდათან ჰქრება,—  
და კვლავ ირთვება მხარე ჩემი ვით თაფგული.

\* \* \*

აგერ, სულ ქვევით, მიმოხვევით მდინარო მტკვარი,  
მოწამე მრავალ წარსულ წელთა ღუბჩირ დროისა,  
დინჯად მოღელავს, მოღუღუნებს ტკბილ ხმა ნარნარი,  
რომ მანც წალეკოს კალაპოტო სივიწროისა.

\* \* \*

თავისუფალი ბუნება... ზეიმობს ერი,  
ფართე ქუჩები შეუბყრია სიცოცხლის ძალას,  
ქარხნების შავს ბოლს უერთდება ქალაქის მტვერი,—  
და ეფინება ნისლის ფერად გარემო ჭალას!..

\* \* \*

მიყვარს მთა წმინდა, დიახ მიყვარს ოდეს სხივს ჰფენს მზე,  
ქამს მარტოობის სვედიანი მას მივაშურებ,  
ეს ტკივილები მიყუჩღება მის ორიზონტზე,  
და მის წვერიდან ერის გულსა დიდხანს დავყურებ!..

ი. მეგრელიძე.

## ცხენოსანი ჯარის უფროსის მომზადება.

ცხენოსანი ჯარის ნაწილთა მომზადებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მივალწიოთ, როდესაც უფროსები სათანადო სიმაღლეზე იდგებიან.

ამ მიზნით უნდა მოვითხოვოთ, რომ ხელმძღვანელთა მთელი შემადგენლობა, ოფიცრები და უმაღლესი უფროსები თავის მოვალეობების ასრულებისათვის ემზადებოდნენ, როგორც მშვიდობიან დროში სწავლისათვის, ისე ომის დროს არსებულ ჯარის შეერთებათა უფროსობასთან დაკავშირებულ საქმეებისათვის. აუცილებელია რომ მათთან წარმოებულ შეცადინობებიდან ისინი თვითონვე ეცნობოდნენ სამხედრო საქმის თანამედროვე მდგომარეობას და მასში წარმოებულ ცვლილებებს. საკითხი ცხენოსანი ჯარის უფროსების მომზადებისა მოიხილვის ფრიად სერიოზულს და გულისხმიურ მოპყრობას. ცხენოსანი ჯარის უფროსების ამორჩევასაც დიდი წინდახედულობა სჭირდება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „თუ ცხენოსანი ჯარის უფროსი აღკურვილი არ არის თვის

სებებით, რომლებიც აუცილებელია მისთვის, რომ ცხენოსანი ჯარი წაიყვანოს გამარჯვებისაკენ, ასეთი უფროსის ხელში საუკეთესო ცხენოსანი ჯარის ნაწილებიც ვერ ჩაიდნენ ისტორიაში შეტანის საამისო საქმეებს“.

როგორ შეიძლება აღზრდა ამ სასურველი თვისებებისა ცხენოსან ჯარების მომავალ უფროსებში?

გენიოსობა დაბადებითვე თანდაყოლილია და ძალათ არ შეიძლება გაგენიოსება, სამაგიეროდ ცოდნა-გამოცდილების მიღება ყოველთვის შეუძლიან ადამიანს. ამასთანავე მართებს მეხსიერებაც, რომ თუ ცოდნიდაც და მის გამოყენებამდი კიდევ რჩება ერთი ნაბიჯი, ეჭვს გარეშეა, რომ უცოდინარობიდან უნარიონობამდე უფრო მეტი მანძილია. ამიტომ ცხენოსანი ჯარის უფროსისათვის გარდა პრაქტიკისა, საჭიროა ფართე ხასიათის თეორიული სამხედრო განვითარებაც, მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. ცხენოსანი ჯარის უფროსი უნდა იყვეს სამხედრო დარგში განვითარებული, გარემოებაში ადვილად გარკვევის უნარის მქონე, ზედმიწევნით მცოდნე სროლისა და ცხენოსნურ სასანგრეო საქმეებისა; მას უნდა ჰქონდეს უნარი გამარჯვებისაკენ მხედართა გატაცებისა.

სახელოვან სარდლებთა სახელები ცოტაა ისტორიაში, ცხენოსან ჯარების გამოჩენილი უფროსების სახელებს კიდევ უფრო ცოტას იცნობს ისტორია. რაც შეეძლო და რასაც შესძლებს ცხენოსანი ჯარი, გამარჯვება თუ დამარცხება, ყოველივე ეს მათ უფროსების ხელთ არის.

„ცხენოსანი ჯარის ისტორია—ეს არის ისტორია მისი უფროსებისა“. საომარ მოქმედებაში ნათლად გამოსჭვივის სარდლის პიროვნება. ცხენოსანი ჯარის ომი ქვეითა ჯარის ომი როდია. შეუძლებელია, როგორც მისი გაჭიანურება, აგრედვე მისი სურვილისამებრ შეჩერებაც. იერიშზედ მისვლის გადაწყვეტა იძლევა ორ შედეგს: გამარჯვებას, ან სრულს განადგურებას. საშუალო გამოსავალი არ არის.

აი, რატომ არის აქ საჭირო უფროსი არა მარტო თავგანწირვის შემძლე, არამედ გადაჭრით გადაწყვეტა ყველაფრისა, როდესაც კი მოითხოვს მდგომარეობა.

მაგრამ გამბედაობა არასოდეს არ უნდა სჩრდილავდეს გონიერებას, აუცილებელ ანგარიშობას (რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სამხედრო განვითარება).

თავგანწირვა მოითხოვს ფიცხელ გულს, ხოლო გონიერება—ცივ გონიერებას. აქედან გამომდინარეობს უძვირფასესი თვისება ცხენოსან ჯარის უფროსისა: „უნარი გახელებულ გატაცებისათვის აუღელვებლათ თავის მიცემისა“. ეს მოითხოვს სულიერ ძალთა დაკიმვას, ამ დროს ხშირად აუცილებელი ხდება ფიზიკურ ღონის დაგროვებაც. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ცხენოსან ჯარის უფროსი უნდა იყოს საერთო ძალთა განვითარების პირობების ჰასაკისა. ცხენოსანთა გულში და სულში გამარჯვების წყურვილის გაღვივება შეუძლიან უმთავრესად სიცოცხლით სავსე, გაუტეხელ ადამი-

ანს. წლოვანება ცვალებადი შემეცნებაა და მისი შემწეობით ნაკლებათ განმანათლებელადამიანის ნამდვილი სიძლიერე თუ სიმამაცე.


მაგრამ, ექვს ვარეშეა ბედნიერება იმ ცხენოსან ჯარისა, რომელსაც ომში მეთაურობს შესაფერისი სარდალი და ამასთანავე ახალგაზრდა.

ა. მ. იძე.

## ს ა მ უ რ ზ ლ ო ს

პატარა ვიყავ უცოდველი ვით ჩვილი კრავი არც კი ვიცოდი თუ რა იყო ის სიყვარული; ოდეს ჩემს თვალწინ აციატდი ვითა ვარსკლავი, და, შთამინერგე პაწა გულში გრძნობა ფარული. მაშინ მომხიბლევ, დამიზონე, მომაჯადოვე, ჩემს პატარა გულს დაეუფლე გაუბატონდი; მაგრამ შენგანვე მოხიბლული შენ მიმატოვე, და სხვებთან ერთად დაისრული შენგან, დავლონდი. შენ ტყვედ იყავი ცხრა კილტულში გამომწყდეული, და ან კი რითღა უნდა გეგრძნო თქმა ჩემის გულის, მე უგზო უკვლოდ დავდიოდი ვითა ეული, მზად ვიყავ მსხვერპლი გავმხთარიყავ მე სიყვარულის. მაგრამ უცთიდი საათს შენის თავისუფლების, საათსა დიადს, ჩემთვის ძვირფას საბედნიეროს; ჩუმად მეც ვიყავ შუა შენის ჭირისუფლების, გულში მეც შენთვის ვმღერდი ჰიმნსა სამგლოვიაროს, აღსრულდა!.. შენი ბორკილების გაისმა ჟღერა, და დაგინახე ბედნიერმა თავისუფალი; და ჩემი გულის ტანჯულ გულის ნეტარი ძგერა, კვლავ გამოცოცხლდა ხანგრძლივ ტანჯვით ლამის მიმქრალი. აწ მხედარი ვარ!.. მოდარაჯე ამ ნეტარების, ფხიზლად უღდგე ვარ თოფით ხელში მე საგუშავგას; რათა კვლავ ზვედრი არ ეწვიოს დასამარების, სულ გულში მყავდეს მე ჩაკრული... არ დამეკარგოს!..

ჯ. კაცი შალვა ბუბულაშვილი.



ნავთის სამეფოში (კოშკები)

# სიყვარული

სიყვარული უხილავი რამ არი:  
 ნახი, ჩილი, აზიზი და ნარნარი,—  
 ვით ალუბლის გაფურჩქნილი ბაღნარი;  
 საიდუმლო მუდამ გაუგებარი!  
 სიყვარული უხილავი რამ არი!..

\* \* \*

ქაბუკური გატაცება ალური,  
 ცეცხლები განცდა ლტოლვა იდეალური  
 უკვდავება ყოფნა გენიალური;  
 ტაბული ჰანგი, მარად მუსიკალური —  
 ქაბუკური გატაცება ალური!..

\* \* \*

სიყვარული, ძალას გვმატებს მგზნებარეს!  
 გვაფაჩიზებს,— ის ზღვას წაგავს მღელვარეს;  
 მას მივყავართ საოცნებო იმ მხარეს,  
 სადაც კაცნი ხშირად ღვრიან კრემლს მწარეს!..  
 სიყვარული ძალას გვმატებს მგზნებარეს!..

\* \* \*

სიყვარული უხილავი რამ არი:  
 ნახი, ჩილი, აზიზი და ნარნარი;  
 ვით ალუბლის გაფურჩქნილი ბაღნარი,  
 საიდუმლო, მუდამ გაუგებარი,  
 სიყვარული უხილავი რამ არი!..

აპოლონ კულაშელი.

## მხედრებს.

ჩვენი სამშობლო ტურფა, კეკლუსი  
 იყო მრავალს წელს ტყვეობაშია,  
 მისი კენესა და გულის ტკივილი  
 ღმერთს აწუხებდა მაღლა ცაშია,  
 მან შეისმინა მისი ვედრება  
 და მოუვლინა თავისუფლება;  
 მეც ვარსებობო ამისი თქმისა  
 მსოფლიოს კერ ქვეშ ძისცა უფლება,  
 მომავლისთვის დვიძლო შეილებო  
 ვეძიოთ წყარო უკვდავებისა  
 უნდა მოვსძებნოთ და იგი ვასვათ,  
 რომ კვლავ არ გახდეს მონა სხევებისა  
 მაღლი, დიდება მისთვის მოღვაწეთ  
 მაღლი, დიდება დამცველ გმირებსა  
 წმინდა ტრაპეზზედ თავის დადებით  
 წავბაძოთ ყოფილ ერთგულ შეილებსა.

იუნკერი ვალიკო ქვიჯვრელი

# ფეხი

მეგობრული  
 (დასასრული).  
 ბიზლიროთქა

სურათები „ლეკიანობის“ დროიდან ორ მოქმედებად.

(ეს პიესა ცენზორის მიერ აკრძალული იყო ძველი რეჟიმის დროს).

### მოკმეველი პირნი:

- გელა.
- რონა — გელას ცოლი
- ქეთო — ამათი ქალი
- ლევანი — გელას ბიძა
- მურზა — ლეკების ბელადი
- ფატმა — ამის მეუღლე
- მაჰმად — მურზას მეგობარი
- ჰაჯი — მურზას მსახური
- ლეკები.

მოქმედება სწარმოებს მეტხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

### მეორე მოქმედება

#### VI.

### იგინივე და გელა.

**გელა.** გვიან-ლაა... საქმე წამხდარა, შეველა შეუძლებელია. ლეკი სოფელს მოსდებია კიდევ, სოფლაძიცი ველარ ჩაველი... აბა, გაიხედეთ, აგერ რა ამბავია, რა ჟრიაშული აუტყხეს ხალხს... რა უცაბედად დაგვეცნენ ეგ გასამუსრაენი... ახ, ხალხი უმწეოთ არის დარჩენილი და მე კი შეველა არ შემიძლიან... ახ, ახ...

**ლევანი:** (იყურება ფანჯრიდან) მართალი ხარ, გვიან-ლაა... სოფელს მოსდებიან...

**გელა:** რაღა გაგვეწყობა, ჩვენს კომეს უნდა მივანდოთ ჩვენი ბედის წერა და ღმერთს შევთხოვათ შეველა. (კარებს დააუბრუნებენ, მიაღებენ ყველაფერს, რაც კი უშლის თავისუფალს მოძრაობას. გაჰშლიან სათოფურთან ნაბადს და ზედ ტყვიან წამალს დაჰყრიან. გელა თავის თოფს გასტენს, ლევანი თავისას აიღებს).

**ლევანი:** მოდი, ჩემო ძველო მეგობარო... ერთხელ მე და შენაც კი ბიჭები ვიყავით! მე მკლავი მიჭრიდა, შენ კიდევ შხამი... ეხლა? მე დაებერდი, დაუძღურდი, შენ კი ჟანგმა ჩავაშავა!.. ეჰ, ერთიცი ვცადოთ ჩვენი ძველი უნარი და მერე კი განვზორდეთ ერთმანეთს...

**გელა:** (სათოფურში იყურებოდა და ათვალიერებდა) ჯერ გული ნუ გაგტეხია, ბიძაჩემო... მაგრამ იყავ, ღმერთი მოწყალეა... (ისევ ათვალიერებს) უჰ, იმ შეჩვენებულებმა სოფელს ცეცხლი ბოლოდანვე წაუკიდეს და თანდათან ზევით მოდიან... (ყველანი გაფაციცებით იყურებიან ფანჯრებში).

**ლევანი:** ერიპა, სოფელს მთლად გადასწვავენ ეგ უღმერთონი.. შეხედეთ ოსიაურის სახლკარი და ბედელ-საბძელი როგორ ცეცხლშია ვახვეული... უჰ, უჰ..

**რონა:** ღმერთო, შენ გადაგვარჩინე და შენ დაგვაფარე შენი ღიღების კალთა...

**ქეთო:** აგერ ეკლესიასაც შემოვხვივინენ... ალბად გატეხას უპირებენ... ოჰ, რამდენი ხალხი დარბის ორღობეებში!.. საწყლები როგორ ყვირიან და შეველას თხოულობენ... ვაი-ვაიმე, ჩვენც ხომ ეგვითი დღე დაგვადგება... (შიგა და შიგ ისმის კივი-ნა და არეული ხმაურობა შორიდან).

**რონა:** აბა უყურეთ, უყურეთ, ძაბრიანთ ეზოში რა ხდება!.. უი, უი... როგორ სტანჯავენ საბრალო ბაღლებს, ცხენებზედა ჰკიდებენ, ზოგს ხურჯინებში სხავენ..

**ქეთო:** აგერ, დედი, იმათ პელო! საცოდავი გამოიყვანეს და აგერ როგორ ეხვევიან... უჰ (ალარ გაათავებს ლაპარაკს და ზიზლით გამობრუნდება) რა სისაძაღლეა, ვაინე..

**გელა:** უჰ, რას არ სჩადიან ეგ დაღუპულნი... ახ, ნეტავი ერთს კაცს იმდენი ღონე მომცა, რომ ყველას პასუხი გავცე... ახ, რა ცუდ დროს მომასწრეს... მერე, სულ ჩემი ბრალია, ჩემი... (იტანჯება) რა ვუყო, ალარ ვიცი... იქ მივეშველო სოფელს, აქ უპატრონოთ როგორ დავყარო ესენი... ამათაც ხომ ის ბედი ეწვევათ... არა და რა ვქნა... როგორ მოვიქცე... გონება მერვეა..

**ლევანი:** (ქალებს) თქვენ მაინც ნულარ იყურებით, შვილებო, თქვენ აქეთ იყავით...

**რონა:** რას ამბობთ, ბატონო, რას ნუ უყურებთ... აბა, გაიხედეთ, როგორ უწყალოთ აწამებენ ნიკოლაანთ თებროს.. იმ დროულ დედაკაცს, რომ არ იბრალდებენ და ცემა-ტყვიით სულსა ჰხდიან, ძუძუმწოვარა ბავშვებს ხანჯლით შუაზედ ჰკვეთავენ, ჩვენ რაღას უნდა მოველოდეთ მაგათგან? ეგენი შეგვიბრალდებენ, ან დავეინდობენ?! არა, სიკვდილი მირჩვენია, აქვე ხანჯალს დავიცემ გულში და იმათ სათრევი და საცემი კი არ ვახდები...

**გელა:** კარგად ამბობ, ჩემო რონა! ვაშა, შენს გამბედაობას, თუ გავიწყრა ღმერთი და ამ კედლებმაც გვიღალატეს, მაშინ არც ერთი ჩვენგან ცოცხალი არ უნდა დაჰსნებდეს იმ წყეულებს, თორემ ჯოჯოხეთის წამებას მოელოდეს...

**ქეთო:** მამილო, არც მე მინდა, ცოცხალი ჩაუვარდე ხელში, იმ უნამუსო და უსირცხვილო ხალხს! უმჯობესია, აქვე შენის ხელით მამილო ბოლო, მამაჩემო, ვიდრე იმათ დავხდე ცოცხალი! თუ შენ არა, მე თითონ, მოვიკლავ თავს და იმათ კი არ დავნებდები...

**გელა:** იმედი გქონდეს, შვილო, რომ ეგენი შენ ხელსაც ვერ გახლებენ! სანამ მამა ცოცხალი გყავს, ჩემო პატარავ, მფარველობის იმედი გქონდეს და როცა ალარ გეყოლება, მაშინ შენ იცი,

როგორ ნამუსიანად შეინახავ თავსა (გაიხედავს) ერიპა... სოფელს გამოსცილენ და აქვე უკვე გამოსწიეს. ეტყობა, პირდაპირ გვეხვევიან, აბა ბიძაჩემო, მარჯვეთ ვიყოთ. მხოლოთ რადგანაც ტყვია-წამალი კოტა გვაქვს, უბრალოთ ნუ დავხარჯავთ. იმედი მაქვს, ამ კედლებს ვერას დააკლდები, გინდ ზარბაზნები დაუშინონ, თუ სხვანაირად არ გვიხერხეს... ეს სხვა ციხეა არა, ლევან!

**ლევანი:** ბევრჯერ გადვურჩენივართ ამ ციხეს წინაა მამიშენის დროს მთელი ოჯახი... ესლაც ვნახოთ, რა იქნება... ღმერთი მოწყალეა...

**რონა:** კოშკის ძირში მოვიდნენ კიდევ... (ისმის ხმაურობა და გაურკვეველი ლაპარაკი, მხოლოდ ისე კი რომ სცენაზედ მოლაპარაკეთ არ დაუშალოს).

**გელა:** (გაიხედავს და მაშინვე ფეხზედ წამოიჭრება, თითქოს ტყვიით დასჭრესო).

**რონა:** რა იყო, რას წამოხტი?

**გელა:** ლევან, უყურებ, რას გვიპირებენ ეგ წუნკალები?!

**ლევანი:** ყველას თითო იღლია ფიჩხი უჭირავს... რათ უნდათ მაგ ოხრებს!..

**გელა:** ეგ ისეთი იარაღია, ლევან, რომ ხმალზედ და ზარბაზანზედ უარესი..

**ლევანი:** როგორ, კაცო?

**გელა:** მაგით ცეცხლს წაუკიდებენ ჩვენს კოშკსა და მაშინ კი სულ მთლად დავიღუპებით... მაგისი შეშინოდა და მაინც ეგრე მოხდა... ეგ კაცის ჭამიები ეგენი..

**ლევანი:** ვაი შენს ლევანს... ერიპა.. (მიუჯდება სათოფურს) თუ მაგათ იათათ დაუსო ევა და მაშ ეს მოხუცი მკლავი მომაჭერთ (ამ დროს მოისმის გარედან ხმა):

**ხმა ლეკისა:** აბა, გელავ, გამოგვიგზავნე შენი ლამაზი ქალი და მაშინ შეიძლება შეგირიგდეთ კიდევ... (თან მოჰყვება უშვერი სიცილი. მცირე სიჩუმის შემდეგ) აანთეთ ცეცხლი..


**გელა:** (ბრაზისაგან ლამის გული გაუსკდეს) ახ, ახ... რატომ არ შემოძლიან მაგ ენის ამოგლეჯა და ფეხით გათელვა!..

**ქეთო:** (იმ სიტყვებს რომ გაიგონებს, მამასთან მიირბენს და მიეკვრება) მამილო, შენი ქირიმე...

**გელა:** ნუ გეშინიან, შვილო ეგენი შენს სახეს ვერ დაინახავენ, თვალები დაუბრმავდებათ მანამდის...

**ლევანი:** (რომელსაც რონა ჰყავს გვერდზე საშველად, მიზანში ამოიღებს და ესვრის თოფს) ჰე, ეს ერთი ხომ გავისტუმრე ჯოჯოხეთისკენ... აბა, შვილო, მალე... მეორესაც მალე გამოუყენებ უკან... (ცეცხლის ალი ნელ-ნელა მოსჩანს ფანჯრებში).

**გელა:** (თოფის ხმას რომ გაიგონებს, გამოერკვევა და ისიც მიჰვარდება თოფს, ცეცხლს რომ დაინახავს, შედგება მაგრამ ისევ მიღის სათოფურ-



თან. ამ დროს გარედან გავარდება თოფი და ლევანს მოხვდება მკერდში, რის გამოც გაღიქცევა „მოკვდილი“ იტყვის და იმ წამსვე კვდება. გელა და ქალებიც ძალიან შეშფოთდებიან. ქალები შიშისაგან ერთმანეთს ეკეპიან. გელა კი მიჰვარდება ლევანს, უნდა უშველოს, მაგრამ გვიანდაა) ვაიმე, საბრალო ლევან... შენს მომკვლელს ერთი ათად გადაუხდევინებ, თუ თავზედ ქუდი მხურავს... ჰეი, თქვენ მუხანათებო და ლაზრებო თქვენა... (გელას ისე გაიტაცებს შურისძიების სურვილი რომ ქალები ავიწყდება და გარეთ გასვლას აპირებს. რამდენიმე ნაბიჯს რომ გადასდგამს კარებისკენ, რონა წინ გადაეღობება).

**რონა.** გელავ, სად მიდიხარ?

**გელა.** სად და იქ! უნდა ჩავიდე და ვაჩვენო იმათ, თუ ვის ეძახიან გელას!

**რონა.** გონს მოდი, არამიანო! ჩვენ ვისღა ანაბარა გვტოვებ აქ?

**ქეთო.** მამავ, შენ რომ იქ ჩახვიდე, ჩვენ რაღა გვეშელებია!

**გელა.** მაშ აქ რომ დავრჩე, რას გიშველით. რა გავაკეთო ამ ოთხკედელ შუა... იქ პასუხს მივცემ მტერს...

**რონა.** შენ ერთი ხომ ვერ გაუმკლავდები ამოდენა ხალხსა, ან რას გააწყობ... წელნაც გითხარით, ჩვენ სიკვდილი გვირჩევნა... ხომ ხედავთ, ხსნა აღარსაითა არის... ან უნდა იმათ ტყვე გავხდეთ...

**გელა.** ეგ შეუძლებელია...:

**რონა.** ან კიდევ დავიხოცნეთ...

**გელა.** მაშ რა გინდათ, რა მოგაგვარო?... მე თითონ აღარ ვიცი, რანაირად გიშველოთ, როგორ დაგიფაროთ...

**რონა.** მე გასწავლი.

**გელა.** სთქვი, მელე. (ცეცხლი თანდათან ძლიერდება).

**რონა.** შენის ხელით დავხოცე ორივე... მერე წადი...

**გელა.** (თითქოს ელდა ეცაო) რა სთქვი?... ეგ რა სთქვი, რონავ!...

**ქეთო.** (ტირილის ხმით). შენ გენაცვალე, მამილო, მეტი გზა აღარა გვაქვს, შენვე მოგვიღე ბოლო, ოღონდ იმათ ხელში კი ნუ ჩავყრი... გეხვეწები...

**გელა.** (შეჰკვივლებს ტირილით და შვილს მოეხვევა) ჩემო ქეთო... ჩემო შვილო, შენცა!... ვაი მამაშენს ამ დღის მომსწრეს, ვაი გელას სი-ცოცხლეს...

**რონა.** რის ვაჟაკი ხარ, თუ ეგრე არ იზამ! მაშ ლეკების ხელში ხომ არ ჩავყრი!...

**გელა.** (განშორდება ქეთოს). რას ამბობ ადამიანო!... ვერ წარმომიდგენია... როგორ! მე ჩემის ხელით დავხოცე ჩემი ცოლი და შვილი!... ღმერთო, განა ამაზე უარესი სასჯელი და შეიძლება კაცისათვის! ოჰ, რა უკუღმართი ბედისა ვყოფილ-

ვარ მე უბედური!.. (ცეცხლს ემატება და კიეინა ისმის)

**რონა.** ჩქარა, თორემ აგერ ტყვენი მტყუნებენ...

**გელა.** (ცოტა წინ წამოვა, გაშტერებულია). თუ არ დავხოცავ, ხომ მართლა იმათ ხელში ჩაცვივიან... მაშინ უფრო დიდი სიარცხილი დამატყდება... იმათ ხელში ჩემი საყვარელი ქეთო... რონა!?! ღმერთო ჩემო!... ფატმას ბედი უნდა ეწიოს... არა, არა, შეუძლებელია... სიკვდილი სჯობს... (ძალიან მცირე სიჩუმე). ხომ არ ვგითვლები? რა მემართება, გონება ველარ მომიკრეფია... ცეცხლი მიეკიდება გულზედ... ვინი მეწვის... როგორ მოვიქცე, აღარ ვიცი, გონება დამიბნედა...

**ქეთო.** მამილო, აგერ მოდიან ლეკები... ნუ ჩაგვაგდებ იმათ ხელში...

**გელა.** (ისევ ისე გარინდებული) მაშ მოვკლა ცოლი და შვილი... ჩემი სისხლი და ხორცი?... რაღა პასუხი მივცე ან ღმერთს, ან მამაპაპას... რა ვქნა, რა ვქნა (ქვითინებს) ამ ჯოჯოხეთის ატანას ისევ ტყვეობაში მოგვკალით, თასჯერ მერჩია...

**რონა.** (შეტყვი?) შე ცოლვის შვილო, რას გაშტერდი... აგერ მოდიან კიდევ... თუ გწამს ღმერთი და ჩვენი სალოცავები, ნუ ჩაგვაგდებ სიარცხილში...

**ქეთო.** მამილო თუ გიყვარს შენი პატარა ქეთო, შეიბრალებ და ნუ შეარცხვენ... ისევე სიკვდილი მირჩევნია...

**გელა.** (გამოერკვევა, შეჰხედავს შვილსა და გულში ჩაიკრავს) შვილო, უბედური მამა გყოლია, მწარე ბედი ერგო წილად... ნუ, ნუ დასწყევლით, ნურც დასძრახავთ ხალხო და ჯამაათნო ბედისგან განწირულს გელას... (ქვითინებს)

(ამ დროს მოისმის ქვედა სათულიდან ძლიერი ხმაურობა ლეკებისა).

**რონა.** არიქა გვიშველეთ...

**ქეთო.** (მიჰვარდება მამის ხანჯალს). მამავ, თუ შენ ვერ ბედავ, მომეცი ხანჯალი, მე თითონ...

**გელა.** (აღარ გააზავებინებს სიტყვებს, ერთი კი მიიხედავს კარისკენ, რომელსაც ცეცხლი ეკიდება და მაშინვე ქეთოს მიჰვარდება) ნუ გენაცვალოს მამა, შვილო... (დასცემს ხანჯალს და ისიც უსულოდ დაეცემა თმა გაწეწილი. რონა მომაკვდავს ქეთოს რომ დანახავს, საშინლად შეჰზარავს და კედლისკენ უკან დაიწევს, გელა ახლა იმისკენ გასწევს ხანჯალ ამოწვდილი, ხმაურობა უფრო ძლიერდება).

**რონა.** შენი ქირიმე, გელავ, ნუ მომკლავ. გენაცვალე... გაუიცებ შენს ქეთოს, ნუ მომკლავ... მეშინიან!...

**გელა.** აჰაი შენ შეჩვენებულო...

**რონა.** შენი ქირიმე, მეშინიან, მეშინიან... (იკუნძება კედელთან).

**გელა.** წელან შენვე მხეხვეწებოდი, მომკალიო და ესლა გეშინიან?... ნუ თუ ვინდა, რომ ლეკებმა

წაგიყვანონ და გტანჯონ, ოღონდ ცოცხალი იყო!.. არა, შენ ცოცხალ ვერ ჩაუვარდები იმათ ხელში...  
**რონა.** რა გქნა, ძალიან მეშინიან... შენი კრიმე, შემობრალე...

**გელა,** თუ კი ჩემი ღვიძლი შვილი, ჩემი პატარა ქეთო გავიმეტე, ამ გასახმობი ხელით... შენ ცოცხალს გავიშვებ!.. არა, შენც უნდა მოკვდე, რომ ნამუსიანათ იყო და მეც ამით ჩემი ოჯახის პატიოსნებას დავიცავ... მაშ სიცოცხლის იმედი ნუ გექნება... (მიჰვარდება, რონა ეხვეწება, მაგრამ გელა დასცემს ხანჯალს, რონა შეჰკივლებს და იქვე ჩაიკრიფება. ამავე დროს მოისმის კარის მტვრევის ხმა. გელა გამობრუნდება და დაინახავს კარებში შემოსულს მურზას, გასწევს მისკენ).

VII

გელა და მურზა.

**გელა.** აბა, მურზავ, მოდი და ნახე ჩემი ოჯახი და ჩემი მასპინძლობაც...

**მურზა.** (შემოსვლის უმაღლეს, რომ დაინახავს იმ სურათს რაც გელას სახლში მოხდა, მეტისმეტად ზარდაცემულია. მაგრამ გელას სიტყვები გონზედ მოიყვანს და მიჰმართავს) დიახ, ვნახე შენი ოჯახი და ესლა შენცა გნახავ, რა ვაჟაკიც ხარ (ეძგე-

რებიან ერთმანეთს სასიკვდილოდ. მკორე ბრძოლის შემდეგ გელა სჯობნის მურზას, აქცევს და ხანჯლით ჰკლავს).

**გელა.** აი ასე ვიცი მურზის ჩტოცხლება... (მერე კარებში გავარდება ამ სიტყვებით) ესლა მეც აღარ მინდა სიცოცხლე ამ ქვეყნად...

დ. ნახუცრიშვილი.

ფ ა რ დ ა.

**შენიშვნა:** ამ პიესის მეორე მოქმედების დასასრულის ნაწილი ნახსენებია ივ. ბუჭურაულის „ზურაბის კოშკიდან“.

დ. ნ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

პასუხის მგებელი რედაქტ. ნ. კურდღელაშვილი.

უოველ-პირიული ჟურნალი  
**„მხედარი“**

ჯარის ნაწილებს ურიგდებათ უყვანოთ.

გასასყიდათ თითო ნომერი დილს 25 ჰან.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია: რუსთაველის ქ. სამხ. სამანისტროსთან არსებულ კულტურა-განათლების სექციაში.

რედაქტორის პირადათ ნახვა შეიძლება უოველ დღე დილის 8—9 საათამდე

სამარცხვინო ფურცელი.

დ ე შ ე რ ტ ი რ ი



სამნაშვილი ვანო 1898 წ.